

ერეკლეტი

მწეგმან კეთილმან სლოი
თვისი დასადვის ცხოვართათვის.
იონან. 10 — 11.

№ 5

1883—1907 წ.

15 მარტი

უცნაური და უსაფხვლო მსჯელობა მინიშნალოვან საზნაზე.

ფაჟ

გამოცხადდა თუ არა ბეჭდითი სიტყვის თავისუფლება, მაშინვე აღიჭურვენ კალმებით ზოგიერთი ისეთი უფიცი პირები, რომელთაც ამ თავისუფლების მოხმარება ხალხის საკეთილოდ სრულებით არ შეუძლიათ. მოუმზადებელი, საქმის უცოდინარნი და გაუგებელი, ორიოდ კალმის მოსებით სწვეტენ ისეთ კითხვებს, რომელზედაც ჯერეთ არც ერთ ბრძენს და ღრმად ნასწავლს ვერ გაუბუნია უკანასკნელი მსჯავრის დადება და საბოლოოდ გადაწყვეტა. ჩვენ ზოგიერთ აუბოლიცისტებს და „ლიტერატორებს“ კი, რომელთაც ზოგიერთი კითხვის „ინიც“ არ იციან და არაფერი არა გაეგებათ-რა გადაწყვეტით აცხადებენ თავის უსუსურ აზრს და საზოგადოებას იწვევენ საბრძოლველად!?

ეს სიტყვები უნებლიეთ გვათქმევინა გაზეთ „ისარ“-ში დაბეჭდილმა სტატიამ ამ სათაურით: „სამღვდელოება და ეკლესია“. მოგვყავს აქვე ეს სტატია შეუცვლელად.

„სამღვდელოება-ეკლესია დღეს ერთი საქირბოროტო საგანთაგანია ევროპასა და რუსეთში. თანამედროვე ეკლესია ბუდეა ყოველგვარი სიბნელისა და გაბრწინებისა, და ბრძოლა იმის წინააღმდეგ აუცილებლად საქირაო კაცობრიობის განთავისუფლებისათვის.“

„ქრისტიანობა პირველად პროგრესიული მოვლენა იყო, მაგრამ იგი მალე გარყვნა სამღვდელოებამ, რომელმაც ეკლესია გახადა ქრისტეს წმინდა მოძღვრების დასაცემოდ და შესაბორკვე იარაღად. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ეკლესიას ცოტაოდენი ღვაწლი მიუძღვის კულ-

ტურულ მოღვაწეობაში, სამღვდელოებას უშრომია სალიტერატურო ასპარეზზე, მაგრამ ამ ღირსებას ას წილ და ათას წილ სკარბობს ის ენება, რომელიც სამღვდელოებამ მოუტანა კაცობრიობას; ეკლესია დიდხანს იყო და კიდევ არის ადამიანის სულის შემბორკვეი, იგი წინ აღობეზოდა ყოველგვარ ბრძოლას ადამიანის განთავისუფლებისათვის. დღესაც ყველგან ეკლესიის გარშემო იკრიბება მრავალი ბოროტი და ბნელი ძალა, დღეს ეკლესია-სამღვდელოება მოკლებულია ყოველ ღირსებას, დღეს მასში ვერა ვხედავთ ვერავითარ კარგს მხარეს, რომელსაც შეეძლოს ცოტათი მიანიც გაამართლოს მისი არსებობა.“

„რასაკვირველია, ჩვენი ეკლესია არ წარმოადგენს გამონაკლს და მეტიც შეგვიძლია ვთქვათ იმის წინააღმდეგ. განსაკუთრებით დასაგმობია ჩვენი ეკლესია-სამღვდელოების მოქმედება უკანასკნელ ასი წლის განმავლობაში, როცა სამღვდელოებამ სხვა თავის სიბოროტეს ისიც დაუმატა, რომ შეიქნა იარაღი პოლიციურ მთავრობისა ქართველ ხალხის ეროვნულ დაზავებისათვის. ვინმე რომ დასწეროს ჩვენი სამღვდელოების ისტორია ბოლო საუკუნისა, ეს იქმნებოდა საზიზღარი ისტორია ჯაშუშობის, დაბეზლებისა, ლაატისა, ზნედაცემულობისა, მონობისა და გარყენილებისა. საკმარისია გავისენოთ ზოგიერთი სხელი ქართველ სამღვდელოების წარმომადგენლებს.“

„ამიტომ არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ საეკლესიო საკითხი, გვერდი აუაროთ სამღვდელოებას. მართალია, ძლიერ განმთავი-

ღ დახ, ზოგიერთი პირების საქციელით მთელ სამღვდელოებას უარყოფს ავტორი, და ეკლესიების დანგრევას ურჩევს ხალხს!?”



სუფლებელ მოძრაობის დროს სამღვდლოებას კოტაოდენი ცვლილება დაეტყო: იგი თითქოს ამოძრავდა და ხმა ამოიღო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და თითქოს მოინდომა, რომ აღარ ყოფილიყო პოლიციის მსახური. მაგრამ მეტად სუსტი გამოდგა სამღვდლოების ამოძრავება, მეტად ხან-მოკლე იყო მისი სურვილი განთავისუფლებისა, და როგორც კი რევქიამ ფეხი მოიდგა, სამღვდლოება უცხად დაწყნარდა და მუხლომოდრეკით დაამოკრა იმას, ვისაც რამდენისამე დღის წინად პროტესტს უცხადებდა... ახლა უფრო გამოიმდინა და ჩვენი სამღვდლოების დაცემულობა, გამოიმედუნდა, რომ ის ჩვენს ცხოვრებაში ბოროტებაა, ბოროტება, რომელიც უნდა მოისპოს, აღიგავოს.“

„ყველაზე უფრო საყურადღებო ისაა, რომ ამ რევქიის დროს სამღვდლოებამ გამოიჩინა საშინელი მტრობა და სიძულელი ხალხისადმი. (?) ვახუშტიშვიტში იმეჭლებდა ყოველი კუთხიდან გამოგზავნილი წერილები იმის შესახებ, რომ სამღვდლოებამ გადაუჭარბა მემამულეებს და წარმოუდგენელ სასტიკობას ხმარობს ღრამის ფულის ასაკრფვად.*) გლეხები გადატაკებულნი არიან, ეგზეკუციებმა აღარაფერი შეაჩინეს, მრავალი გლეხი დატყვევებულია, ბევრი შორს ციხიერშია დაკარგული, სოფელი აწიოკებულ-აოხრებულია, — მაგრამ ჩვენი მღვდლები ამას ყურადღებას არ აქცევენ და უსირსებილოდ იწვევენ პოლიციელებს და დარაჯებს, რომ ძალით გადაახდევინონ გლეხებს ფული... ყოველი მხრით გვესმის გლეხების მწარე ჩივილი: შეგვქამეს, დაგვახნეს სულიერმა მამებმაო.**)

„სამღვდლოება იბრძვის ხალხის წინააღმდეგ, სამღვდლოება ყურ-მოჭრილი მოსამსახურეა თვითმპყრობელ ბიუროკრატიისა და მასთან ერთად ხალხის დაჩაგრას და დამონავეებას სცდილობს. საჭიროა მღვდარი ბრძოლა ამის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ხშირად სამღვდლოებას ისე მტრულად არ ვეპყრობოდით, როგორც საჭირო იყო. ასეთი ტაქტიკა ყოველად დასაგმობია, დასაგმობი ნამეტურ მას შემდეგ, რაც გამოაშკარავდა უკანასკნელ

ხანებში. მთელი ჩვენი პროგრამა, ჩვენი მიზანი მოითხოვს, რომ შეურყეველი, სასტიკი ბრძოლა გაეწიოთ ბნელ ძალების ბურჯის დასამხობად!..“

როგორ მოგწონთ, მეიხველო, აზრი, კოლო და მსჯელობა ვილაც „ისარი“-ს ს. ა.—ს ამოფარებული ვაჟ ბატონის? შეუძლებელია ამ სტატიის ავტორის მსჯელობა ამისთანა სერიოზულ საგანზე? ამ ვაჟ-ბატონის ყოველივე სიტყვა ცხადად ამტკიცებს, რომ მას არ ესმის ლოლიკა, არ ესმის ჩვენი ეკლესია და არც მისი სამღვდლოება. ამისათვისა კიდევ რომ ასე ადვილად ისვრის აზრებს ზნობრად დასწავლილს სხვა-და-სხვა ნათარგმნ წიგნაკებიდან. ბ. ს. ა. განიმეორებს ბებელისა და მის მსგავსთა სიტყვებს ისე, რომ თითონ არა გაეგება-რა ეკლესიისა და სამღვდლოებისა. ვახუშტის „ისარი“-ვე იყო დაბეჭდილი სტატია რელიგიის შესახებ და აი რას სწერდა შეგნებული ავტორი:

„რამდენიც არ ეცადნენ სხვა-და-სხვა სკოლის სოციალოგები და ფილოსოფოსები, დაემტკიცებინათ მისი რაოლი ისტორიაში, დაეპატარავენინათ სიდიდე იმის ძალისა, რომელსაც საშინელი და მძლავრი გავლენა ჰქონდა ადამიანის აზროვნების ცვალებადობის პროცესზე და, საერთოდ, ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, — მათ მიანც ვერ დაამტკიცეს მისი სისუსტე, როგორც „მეორე ხარისხოვან ფაქტორისა“. რედაქტორს, რომ გაეგებოდეს კარგად თავისი მოვალეობა ასეთს ერთი მეორეს წინააღმდეგ აზრს არ დაბეჭდავდა... მაგრამ ესლანდელ დროის ვახუშტებს ხომ შეგნებული რედაქტორები არა უყვს?..“

ნუ დაივიწყებთ, რომ ამ წერილის ავტორი ყოველ-გვარ ხალხის სარწმუნოებაზე სწერდა და არა მარტო ქრისტიანების სარწმუნოებაზე. ბ. ს. ა. ცხადად და აშკარად გვიმტკიცებს თავისი მსჯელობით, რომ სრულებით არ ესმის კაცობრიობის ისტორია, ხალხის ცხოვრებისა და ზნეობრივი მდგომარეობისა ქრისტეს ეკლესიისა დაარსებამდე. არ ესმის მას თუ რა სიკეთე მოუტანა და რა სიკეთე მოაკის დღესაც ქრისტეს ეკლესიას ხალხისათვის. ასეთ უკაც რამდენიც გინდა ელაპარაკე და ედავე, ვერ დააჯერებ, რომ იგი შემცდარია და საქმის გარემოება არ ესმის. ვერ დააჯერებ ისე როგორც გეტყვ. დაეთანხმებით ავტორს, რომ არიან ცუდი ხასიათის და ცუდი ზნეობის მღვდლებიც. თორმეტ მოკიქულში ერთი იქნა გამცემელი იყო, მაგრამ ამით შეგვიძლია

*) სად? ინი? ან ფისი დაძალებით და რაღაც აიკლეს ღრამისათვის?

**) აშკარა სიტყუა, შეთხზული მღვდლების მტრთაგან, რომ კარგად გამოიჩვენს საქმის ვითარება ეს სიტყუე ცხადად დამტკიცდება.



ხარების დოღმატა ლეთის სარწმუნოებაზე და საუკუნო ცხოვრებაზე, ვისგან შესდგება ეს ეკლესია? ეკლესია შესდგება მართლ-მადიდებელ მორწმუნე მრევლთაგან და სამღვდლო პირთაგან, რომელნიც მრევლის სულიერი მოსახსნურად, მოძღვრად ითვლებიან. უეჭველია ავტორს ეს არ ჰხმენია!

მაშ ვის წინააღმდეგ ურჩევს ბ. ს. ა. სასტიკ ბრძოლას, რომ აღვან პირისაგან ქვეყნისა და მოსპონ იგინი? ის მრევლთა ხალხის წინააღმდეგ ურჩევს შებრძოლებას. ვინ ურჩევს ამ შებრძოლებას? ეშმაკები და გარეშე ჩვენი ეკლესიისა მცხოვრებნი ხომ არა? სად არიან იგინი? არაიენ არ იცის, თვალით არ ხიანა!.

ეკლესია, ესე იგი, ხალხი აბნელებს, თურმე ხალხს, რყენის და წინ ეღობება თავის განმათავისუფლებელ მოძრაობას? ასე გამოდის ბატონი ს. ა.—ს. უკუღმართი მსჯელობიდან! დიად, ასეთია უცნაური მსჯელობა ზოგიერთი მწერლისა...

ეკლესიას შეადგენს მთელი ხალხი ქართულთა და ვინ ებრძვის ამ ხალხს და მათ მოსამახსურე სამღვდლოებას? თუ ხალხი უარს ყოფს საწმუნოებას, მაშინ ის იცვლის საწმუნოებას და დღევანდელ სამღვდლოების მაგიერ, ადგის იქნის იმ საწმუნოების სამღვდლოება, რომლის საწმუნოებასაც მიიღებს ხალხი. მაგრამ, როგორცა სჩანს ს. ა. ეკლესიას ხალხს კი არ გულისხმობს, არამედ ქეთიკონის და ხის ტაძარებს მარტო და სამღვდლოებას! ის კი არ ესმის მას, რომ ეკლესიას შეადგენს მთელი ხალხი და არა მარტო სამღვდლოება. სამღვდლოება არის სულიერი ხალხის მოსამახსურე, მთელი ხალხი, ე. ი. ეკლესია, როგორცა ს. ა.—ს იგულისხმება, თუ იგი ურია არ არის საწმუნოებით, მაშ წინააღმდეგი ყოფილა განმათავისუფლებელი მოძრაობისა! ვერ მიხვდნენ, რომ ეკლესიის წინააღმდეგ წერა პირდაპირ ხალხს ხედება გულის სიღრმეში, რადგან იგინი შეადგენენ ეკლესიას და არა მარტო სამღვდლოება...

რომ ავტორი დაინჯებით უყურებდეს ამ საგანს, მაშინ, რასაკვირველია, არ გაუჭირდებოდა ყოველ-მხრივად მისი გათვალისწინება. მაგრამ ერთხელვე ღვარძლიანის კილოთი აღჭურვილი, ყოველივე უბედურებას მხოლოდ ეკლესიისა და სამღვდლოებას აბრაღის. „ქართველი ხალხის გროვულ დაზავების იარაღი შეიქნაო“. ნუ იუ მარტო სასუ-

ლიერო წოდების მეოხებით ხდებოდა ეს დაზავება, თუ ბევრმა არა სასულიერო პირებმაც ისახელეს თავი?!. ამა მოიგონეთ კარგად განვლილი საუკუნის ჩვენი თავადასავალი, და თუ გავითვალისწინებთ ყოველივეს, კარგად მიხვდება მკითხველი, რომელმაც ჯგუფმა უფრო იჩინა თავი ვინურის სამსახურის სასულიერომ, თუ საერომ? ვისგან შესდგებოდა მთელი ის მთელი ქაზრაკი, რითაც ჩვენი ქვეყანა იყო დაქვეითების გზაზე დაყენებული, სასულიერო, თუ საერო პირთაგან? გვიან თუ გამოიფიხიზლა სამღვდლოებამ, საეროს როდისღა დაიტყო ეს გამოფიხიზლება? დიდი ხანია მას აქეთ, როდესაც ჩვენი მღვდმარეობა ნამდვილად და ღირსეულად შეიგნო ჩვენმა საერო წოდებამ? განა იმდენად უსუსური იყო იგი, რომ სამღვდლოების ჩამორჩენლობის წყალობით საკუთარი ალღო აღარა ჰქონდა საკუთარი გონება არ უჭირდა? განა ისეთ ძლიერ ძალას წარმოადგენს ჩვენი სამღვდლოება, რომ ასეთი შეზორკვა შეეძლო ვინმესი?..

„თითქოს ამოძრავდა სამღვდლოება განმათავისუფლებელი მოძრაობის დროსაო, მაგრამ მეტად სუსტი გამოდგა მისი ამომავება, და რეაქციის დროს უცებ დააწინარდაო“, ამბობს ავტორი. სხვა პარტიებისა და მთლად საერო პირების ძალა კი ძალიან მძლავრი გამოდგა? განა ისინიც მალე არ დაწყნარდნენ? მაშ რაღა მარტო სასულიერო წოდებას უნდა გამოეჩინა არა ჩვეულებრივი მხნეობა?..

ყოველივე ეს რომ გახსენებოდა ავტორს, უფრო ვრცლად გამოიჩვევოდა საგანი და სინამდვილეს იქნებოდა ნაწერში. მაგრამ როგორც მთელ წერილს ეტყობა, ავტორს აღაპარაკებს, მხოლოდ ცალკეობს განზახვა და ამიტომაც ვერ გამოდის იგი მიუღვამელი მსჯავრის დამდები. რომ ეს თვისება ჰქონდეს ამ წერილის ავტორს, და სხვა მის მსგავსებს — იგინი ცალკე წოდებრივ კინკლაობას-კი არ გამოეკიდებოდნენ: არა შენ გაფუჭე საქმე, არა მე გავაკეთე, არა შენი ბრალიაო, ამისათვის ჯერ შენ უნდა დაგამხობო და სხვა. არამედ უფრო დაზოგავდნენ თავის ძალას რაიმე თვალსაჩინო მოქმედებისათვის და ერთად შეუწყობდნენ ხელს საერთო მუშაობას ქვეყნის განახლებისათვის.

✕ ერთ დროს, როცა გუნდის მოედანზე დღესასწაულობდნენ ასი წლის ბენდიერ ცხოვრებას და ბუქნას თამაშობდნენ ამ დროს ყველა ჩვენი დღევან-



დელი შესანიშნავი ჯგუფები სერს უყურებდენ და კრინტიკ არ დაუძრავსო. ამ დროს, ერთმა მიღველმა სასტიკი პროტესტი გამოუცხადა მოთამაშეთა და დაპგმო მათი უმგვანო საქციელი... ბუგრად უფრო დამნაშავეა საერო წოდება ყველა ჩვენს უბედურებაში ვინც! საიდვდლოება. ჭკუვის სასწილელზელ მაგალითათ გამოგვადგება სომხები, რომელნიც ნამდვილ შეილებრივ სამსახურს და თავგამეტებულ მფარველობას უწყევნ თავიანთ ეკკლესიას ჭე სამწყსოთა. ჩვენები კი დამოზობას და ამოყლტას გვექადებთან ქომავობისა და მფარველობის მაგიერ!.

მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ ყველას უღვეს წილი წარსულის შეცდომებში, ვერ ვიტყვით ვერც იმას, რომ სამღვდლოებაც, როგორც ერის შვილი არ უნდა ყოფილიყო საერთო უფერულობის გამო-მხატველი, იგი ხომ არა ჩვეულებრივი პირებისაგან არ იქნებოდა შემდგარი. და მასასადამე რად უნდა მოეთხოვოს მას გამონაკლად ყოფნა, და რატომ უნდა დაესახოთ იგი ყოველივე უბედურების სათავედ? სურვილი განახლებისა ხომ მასაც აქვს ისე, როგორც ყველას სხვას. და თუ არ ექნება სურვილი, მაშინ ხომ თითონვე დადგება სახიფათო გზაზედ და დაპკარგავს ძალას; მაშინ, როლა საქონლა ეკკლესია — სამღვდლოების შემბრალება, ვასანადგურებულად წაქეზება! ეს ხომ ღინ-კიხობისებური იერიში იქნება და შეუფერებელი ძალადობა, და ყოველი ძალადობა ხომ დამოზობილი უნდა იყოს ყოველ საქმეში და ყოველგან?. აი ეს არ უნდა იქნეს დავიწყებული არც მწერალთაგან, ვინც ჩვენზედ იერიშებს მოიტანს ხოლმე, და არც იმ რედაქციებისაგან, რომელნიც ასეთ წჭირილებს აძლევენ ადგოს, თუ ამითაც არა სურსთ ზნელი ძალეობისა და შეუფერებელი ძალდტანების მოტრფილეთა: რიცხვში ვარჯეა. პირად თავისუფლების მიქიბელთ, არ შეპჭერისთ სხვისი თავისუფლების შელახვა, თუ ნამდვილად ემსახურებთან მწერლობას და არა თვლთმაქცურად.

დეკანოზი დ. დამაშაქი.

სათათბირო და საბჭო.


მთარობის დეკლარაცია სტოლიბინმა ამაყად წაიკითხა, მაგრამ სათათბირო ცივად მიეგება. პირველად ილაპარაკა წერეთელმა; ილაპარაკა კარ-

გად, მშვიდობიანად, მაგრამ იგი ორატორი არ არის და არ ეტყობოდა აღფრთოვანება. მემარჯვენენი ილანდებოდნენ, თხოულობდნენ ორატორის გაყვანას. მემარჯვენეთა თავგამოდება იწვევდა სიცლის საზოგადოებისა, ჟურნალისტებისა და დეპუტატებისას.

სათათბიროს სხდომს. სხდომა დაიწყო თავდაზნაურთა საკრებულოს დარბაზში 11 საათზე და 2 წუთზე. განსახილველია არჩევნების შემოწმება. პირველ განყოფილების მომასწინებელი არაკანცეცია. სათათბირო კანონიერად სცნობს არჩევნებს აკმოლინის ოლქში, ვოლოგდის, სმოლენსკის, პერმის და ტულის გუბერნიებში. ტულის გუბერნიის არჩევნების თაბაზე 3 საჩივარი შემოიტანეს: 1. ერთის ამჩჩველ მიღდლის ნაცვლად მეორე მღველი მიუყვანიათ; 2. რამდენიმე ამჩჩველი არჩევნების წინა დღით სამსახურის გამო სხვაგან გაუწვევიათ; 3. გრაფ ბობრინსკი გლეხებს გამასპინძლებია. სათათბირომ ყველა საჩივარი უსაფუძვლოდ იცნო. კუტლერსა და იოსებ გესსენს წინადადება შემოაქვთ, დროს საყიართოდ წაიკითხოთ მხოლოდ უცილობლად მიღებული არჩევნები, გობრუნოვი თხოულობს ყველა მოხსენების წაითხვას. კენჭი უყარეს შემდგე წინადადებას: „განვიხილოთ დღეს ყველა მოხსენება თუ არაო“. 211 კაცი განხილვის მომხრეა, სახელდობრ: ს.-რევოლიუციონერები, სახალხო-სოციალისტები, შრომის ჯგუფი და მემარჯვენენი. უმეტესობა კი წინააღმდეგია,

სხდომა განახლდა 2 საათსა და 2 წუთზე. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სათათბირომ დამატეცია 25ნ დეპუტატის არჩევანი, ესე იგი ნახევარზე მეტისა. სიტყვა ეტლა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პ. ა. სტოლიბინს ეკუთვნისო.

სტოლიბინმა დაიწყო დეკლარაციის კითხვა. დარბაზში სამარისებული სიჩუმე იდგა. დეკლარაციის კითხვა დამთავრდა სამ საათზე. მემარჯვენეთ ლაშის ცემა ასტებეს. სხვა სკამებზე სიჩუმე იყო. *შემდგე სატყვა წარმოსთქვა ს.-დ. წერეთელმა. მან სამინისტროს წინააღმდეგ ილაპარაკა და წაითხიხა ს.-დემოკრატიულ ფრაქციის განცხადება, რომელიც შეიკავს სამინისტროს მოქმედების კრიტიკას და ს.-დემოკრატიულ ფრაქციის მოქმედების პროგრამას.



თავმჯდომარემ განაცხადა: ჩვენწერა 25 ორატორი; ამის გარდა 33 წევრმა წინადადება შემოიტანა, შესწყდეს ორატორის ჩაწერა. ამ წინადადებას კენჭი უყარეს. 50 კაცია, სულ მემბრუგენენ, წინააღმდეგი იყო კამათის შეწყვეტისა. რადგან კანონით, ამისთვის 50 კაცი საკმაოა, ამიტომ უარყოფილ იქმნა წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ,

თავმჯდომარემ შეაყენა ორატორი.

ზურაბევიძე. ყველაფერი, რაც კი აქ ითქმის, მთელ ქვეყანას გადაეცემა. ვიცი, არ მოგეწონებათ ჩემი ნათქვამი, თქვენ თავებზედ გადასული, რუსეთმა გაიგაროს. აქ ტაშს უკრავენ შეიარაღებულ აჯანყებას, აქ ამბობენ, ვითომ ჩვენ მიმხრენი ვიყვეთ ბატონ-ყობისა, ვითომ ჩვენ შორის გლეხები აჯანყებას აპირებდნენ და აგარაულ პროგრამის განხილვას მოითხოვენ. ლაპარაკობენ აგრეთვე სისხლის ღვრაზე, მე გკითხაოთ თქვენ, კადეტებს: რომელ ქვეყანაში არა სჯიან სიკვდილით საცის მკვლელს? მარცხნიდან გამოსროლილი საყვიდღური მიზანს არ მიპოხვდა. უმჯობესია დაილილოს რამდენიმე ათი ათასი კაცი, ვიდრე მთელი ქვეყანა. ახლანდელი მთავრობა რეაქციონური არ არის. დღე და ღამ შრომობდა და უანგარიშო კანონ-პროექტი შემოეშავა. დავივიწყეთ გულის წყრობა. მივიღეთ მეფის ტახტთან და დავიწყეთ სასარგებლო მუშაობა.

ქმისკობისი ზღაგონი. მე მიხდა ვილაპარაკო სინიდისის ქვეშ. გთხოვთ ახლა გამიცნოთ: მე „პოგრომშიკი“ ვახსლავართ. ასე მომნათლა ვაზეთმა „ტოვარიშიმა“. მე ხომ ტალახში ვგორავდი, ვევედრებოდი ნუ ჩაიდნენ საზოგადოებასა მეთქი, საინისტროს დეკლარაცია ლაპარაკობს კანონზე, კანონიერებასა და სიპართლევზე. მე მგონია, რომ ამ დარბაზში არ გაისმოდა ყვირილი საინისტროს წინააღმდეგ, როგორც ეს პირველ სათათბიროში მოხდა; ჩვენ უნდა დავებნაროთ საინისტროს. ჩვენ მუშაობას ხელს უშლის ქვეყნის აღმღებელი მდგომარეობა. სათათბირომ უნდა გაჰკიცხოს პოლიტიკურ ნიადაგზე მკვლელობანი (მარჯვნივ ტაშის ცემა).

კრუშევიანი. ჩვენ გვაწევს პასუხის გება. მთელს კაცობრიობის წინაშე, და არა მარტო ხალხისა, არსად არ მომხდარა ისეთი სამარცხინო საქმეები,

როგორც ჩვენში. ჩვენ საფრანგეთის რევოლიუციაზე უფრო მეტ საშინელების წინ ვდგევართ. არსად არ ყოფილა ასეთი შელახვა იდეალებისა. ჩვენ ყველაფერს გულ გრილად ვებყრობით. აქ რომ კულმბარის მსროლილი მოვიდეს, აქვე დამსველნი ვაუჩუნდებოდნენ. ხალხმა ჩვენ—მემბრუგენი—მოგვიწოდა. აქ რომ გამოგვგზავნა, ხალხმა გვითხრა: სიცოცხლე არ დაზოგოთ და დაიკვეით, რაც ჩვენთვის წმინდაა. ხალხი აღსდგება და ყველაფერს წაღეკავს. არჩვენების დროს, რომ სიპართლე ყოფილიყო, პრესას რომ არ მოეტყუებინა ხალხი, სულ სხვა რამეს გაიგონებდით. ხალხმა გვითხრა: ჩვენ: სთხოვეთ სათათბიროს, რომ პროტესტი გამოაცხადონ. მე მახსოვს იმ ბავშვის სისხლი, რომელიც ხელში აუყვანილი მოჰყავდა რევოლიუციონერებისაგან ნაცემ წესიერების დამცველს. ხალხმა სთქვა: წადით სათათბიროში და სთქვით, რომ მოისპოს ეს საძაგლობა, თორემ ყველაფერს წაველკავო (ყვირიან—ასწიოკებლად იწვევს ხალხს!)


როცა ორატორები მოჩნენ, სიტყვის ნება ისევ სტალინისს მიეცა.

სტალინისი. ბატონებო! მე არ მეგონა, რომ ხელ-მეორედ გამოვიდოდი თქვენ წინაშე, მაგრამ ჩემი სიტყვის შემდეგ ატეხილ კამათის კილო მიძლეებს გთხოვთ, ყურადღება მომაქციოთ. მე მსურს განვაცხადო, რომ მთავრობა ყოველ თავის მოქმედებაში და ყოველ განცხადებაში, რომელსაც კი სახ. სათათბიროს წარუდგენს, იგი კანონიერებას არ გადაუხვევს. მთავრობა მონატრულია, მოსძებნოს ის ნიადაგი, რომელზედაც შეიძლება აღდგეს საერთო მუშაობა, ილაპარაკებოდეს იმ ენაზე, რომელიც ყველასათვის ადვილი გასაგები იქნება. მე ჩემ თავს ანგარიშს ვაძლევ ამნაირ ენად ვერ გამოვდგება ენა გაბოროტებისა და სიძულვილისა—ამნაირის ენით არ ვისარგებლებ. ვებტრუნდები არა კანონიერებას, ვაცხადებ, რომ ყოველი მისი დარღვევა, ყოველი მოქმედება, რომელიც ამ კანონიერებას არ შეეფერება, მთავრობამ ხმა მიღო უნდა აღნიშნოს. ეს იმის მოვალეობაა სათათბიროს და ქვეყნის წინაშე. ამ დროებით მე ვამტკიცებ, რომ სახელმწიფო სათათბიროს ხელმწიფისაგან ჯერ არ მიუღია უფლება, წუნი დასდოს მთავრობის მოქმედებას, გაჰკიცხოს იგი ან უნდობლობა გამოუცხადოს. ეს იმას სრულებით არა ნიშნავს, ვითომ



მთავრობა პასუხის მგებლობას ემალებოდა. უკუ-
 ობა იქნება ვიფიქროთ, რომ ის პირნი, რომელთაც
 უფლებად ეპყრათ ღირებულ ისტორიულ გადაწყენ-
 ბისა და მთელის კანონმდებლობის, ძირითად საფუ-
 ძვლის გადასხვაფერების დროს არა გრძნობდნენ,
 რამდენად მიძივა მათი პასუხის მგებლობა და რამ-
 დენად დაიდა მათ მიერ გასაკეთებელი საქმე. ნუ
 დაგავიწყდებათ, რომ როცა მეფის ტახტიდან რამ-
 დენიმე ვერსის მანძილზე კონსტანტინე ბობოქრობ-
 და, როცა ლალატმა თავი იჩინა სვეაბორგში, რო-
 ცა იწოდა ბალტიის მხარე, როცა რევოლუციონ-
 ნური ტალია მოელო პოლონეთის და კავკასიას,
 როცა მთლი სამხრეთ რაიონის მრეწველობა შე-
 ჩერდა, როცა გლეხების აჯანყებამ თავი იჩინა,
 მხოლოდ მაშინ დაიწყო საშინელება და ტერრორი.
 მთავრობას ორში ერთი უნდა აერჩია: ან გზა მიეცა
 რევოლუციისათვის, დაევიწყებინა, რომ უფლება
 გამგე რუსეთის სახელმწიფოებრივ ერთიანობისა,
 ანუ ემოქმედნა და დაეცვა ის, რაც მინდობილი
 ჰქონდა. მაგრამ, ბატონებო, დადავ რა მეორე
 გზას, მთავრობამ ამით მიუფო თავის თავს სახელის-
 წერო გულის წყრომა. რაკი მთავრობა ეკვეთა რე-
 ვოლუციას, ძალა უნებურად რამოდენიმე კერძო
 ინტერესსაც მოხვდა, მაგრამ სხვა ფრივ შეუძლებე-
 ლი იყო. მთავრობა იმ დროს მხოლოდ ერთის
 ფიქრით იყო გამსჭვალული—დაეფარა ის ალთქმა,
 ის საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენებულიყო
 რეფორმები ნიკოლოზ მეორისა. არა ჩვეულებრივ
 დროს არა ჩვეულებრივად იბრძოლა მთავრობამ და
 აშინაირად ქვეყანას მეორე სათათბიროს შეკრება
 მოუხსრო. მე ვაცხადებ და მსურს, რომ ჩემი გან-
 ცხადება შორსაც გაიგონოთ; ხელმწიფის ნებით,
 აქ არ არის არც მსაჯული და არც ბრალდებული;
 ეს სკამები (უთითებს მინისტრების ადგილებზე)
 ბრალდებულთა სკამები კი არა, მთავრობის ადგილია
 (მარჯვნივ „ვაშა, ვაშა“) ჩვენის მოქმედებისათვის
 ამ ისტორიულ წუთში, იმ მოქმედებისათვის, რომ-
 ემდისაც ურთიერთშორის მტრობამღი კი არ უნდა
 მიგვიყვანოს, არამედ სამშობლოს სიკეთემდის; ჩვენც,
 როგორც თქვენ, პასუხი უნდა ვავით ისტორიის
 წინაშე. მე დარწმუნებული ვარ, რომ სათათბიროს
 ის ნაწილი, რომსლსაც სურს მუშაობა, რომელსაც
 სურს გაანათლოს ხალხი, სურს მოაწესრიგოს გლეხის
 მიწის საქმე, შეძლებს გაატაროს თავისი შეხედუ-

ლება, თუნდაც იგი წინააღმდეგი იყოს მთავრობის
 შეხედულებისა. მე მეტსაც ვიტყვი: მთავრობა სია-
 მით მიეგებება ყოველ გვარ უსამართლობის და
 ბოროტად უფლების მოხმარების გამოჩენას. იმ ქვე-
 ყნებში, სადაც ჯერ შემუშავებული არ არის უფ-
 ლებრივი ნორმები, ყველაზე მეტი შრომა დაწესე-
 ბულებზეზე კი არა, კერძო პირებზე მოდის ხოლმე.
 უტოლდელი, ბატონებო, არაინაა, კაცი შეიძლება
 შეცდეს, აჩქარდეს და, უფლებაც ბოროტად მოიხ-
 მაროს. დეე, ეს ბოროტად მოიხმაროს. დეე, ეს
 ბოროტად უფლების მოხმარება გამომელავნდეს;
 დეე, გაპიციხონ და გასამართლონ, მაგრამ ისეთ
 გაეციხვას, რომელიც სხვაინარად იმოქმედებს ხალ-
 ხზე და ჩემ აჯანყებას გამოაოწვევს, მთავრობა იძუ-
 ლებულია წინ დახედულად მოეყრას. გაეციხვით
 მხოლოდ სურთ მთავრობას ნება და აზრი აურიონ.
 ყველა გაეციხვის შინაარსი ორი სიტყვით გამოი-
 ხატება— მთავრობას ეუბნებიან: „ხელეები ზვეითაო“.
 ამ ორ სიტყვას, ბატონებო, მთავრობა, ჰგრძნობს
 რა თავის სიმართლეს, ორი სიტყვითვე აძლევს
 პასუხს: „ვერ შეგვაშინებთ“.



წარილი ჩამატებისადმი

ვახუთ „ისრი“-ს № 33-ში ვილაღ უცნობი
 პირი სწერს ვითომც ჩვენ, სხვაის მღვდლებს,
 მიგვეყვანოს სტრაჟნიკები და დიდს აწიოკებით
 და ვიი ვაგობაით მოკვეთოვოს ჩვენი ღრამის
 ფულები. იმ დროს ერთი ჩვენგანი დამალულიყოს
 სხვაგან, რათა უმეტესად დაერბიათ და შეეწუხებიათ
 მისი მრველი. მეორე, რომელიც მისულა მრველ-
 თან კანცელარიაშიღ, ვითომც მთხოვნელთათვის
 „სტრაჟნიკებისთვის მიუთითებია. ამათ იციანო“;
 მე კი, ვითომც, კანცელარიაშიღ არც კი მიკად-
 რებია მრველთან მისვლა და, როცა ვითითონ
 მრველი მისულა ჩემთან ამისაზეღ, შემდეგ მიყო-
 ლივარ იქ და რალაც ამბავი მომიხდენია..

ყოველივე ესე არის ცხადი სიტყუბე, აღმო-
 ცენებული თესლისაგან შუქისა, ამასთან გადასხვა-
 ფერებული და დამახინჯებული.

სტრაჟნიკების მოსვლაში ჩვენ არაფერი წილი
 არ გვიძევეს; სრულიად უცხო და გარემენი ვართ
 ამაში. წინააღმდეგ შემთხვევაშიღ, თუ ვისმეს ექვი



აქვს ჩვენზე, მან უნდა აჩვენოს: სად, როდის და რა გავამცხადეთ ჩვენ დრამის შესახებ? რა დანაშაული უნდა ვიყოთ ჩვენ, როდესაც, ვგანცხადებთ ეპარქიაში და საეპისკოპოსოში და, დრამა მოიკრიფა პოლიცია-სტრატეგიებით? რა უნდა გვესაშუალებია ჩვენ მაშინ, როდესაც პოლიცია ცნობას ითხოვდა დრამის შესახებ, ხალხი ყოყმანობდა; უმეტეს ნაწილს სურდა, ჩვეულებისამებრ, სიყვარულობით გათავებულყოფის საქმე და კიდევაც შეუღდგენ კრფას და მოკემის დრამისას; მაგრამ, შეგონებითა, შეშინებითა და მუქარითა რომელთაიმე პირთა შესდგენ; ვერ გაბედეს და ვეღარ მოახერხეს ნებაყოფლობით მისი გათავებით მოკრეფა და მოკემა.

ღვთის მემობელნი და სარწმუნოების უარის მყოფელნი ყოველივე სახით სკდილობენ ჩაენერგათ მრევლსა და მღვდლის შორის სიძულვილი და მიაღწიეს ზოგიერთ ადგილას თავის მიზანს.. სწორეთ ამ მიზნის მისაღწევად გვედგება ჩვენც ზემო აღნიშნული დანაშაულობა...

უკეთეს ვლანდელი რეჟიმი თავის მოქმედებას შეუფერებლად იჩენს, თუგინდ ჩვენ—მღვდლების შესახებაც; ამაში ჩვენ რა დანაშაული უნდა ვიყოთ? რისთვის უნდა ედებოდეს ამაშიდ ბრალი მღვდელს, თუ არა იმ აზრით, რომ შეაძლონ ის ხალხს, დაუკარგონ სასიყვარულო და სიყვარული მისი სამსახურითა და ამ სახით განქარდეს და აღმოიფხვრას მისი სარწმუნოება.

ბიუროკრატია თავის ვაყენის გასამაგრებლად ხალხს თვითნებობას არ ანებებს, თუმცა მას ეგვიტარო მოქმედება თავისი მოძღვრის შესახებ არც კი სურს. საწყალი მღვდელი აქ რა შუაშია? მაგრამ რა ექნათ! მიმართულება საქმისა დაწყებული: მაკადინობენ შეაძლონ ხალხს მღვდელი, თანდათანობით დასცენ სარწმუნოება და სრულიად განაქარგონ იგი.

მე, ძიულეული, თამამად ვიტყვი: რითაც-კი შემძლება და ვარემობას ვამოუწვევია, ყოველთვის შემწეობა და დახმარება მიწარმოვბია ჩემს მსახურებაშიდ—მრავალ-გზის და ზემორე აღნიშნულ შემთხვევაშიდაც. როგორც ვაგიგე რომ ამაწლის იანვრის უკანასკნელ რიცხვებშიდ ყრილაზა იყო ხალხისა დრამის ფულზედ და სტრატეგიებიც მოსულიყვნენ, მე ვეშაზდებოდი კანცელარიაში

წასასვლელად, მაგრამ იმ დროს ჩემთან მოვიდართი მრევლთაგანი და მთხოვა მომაკვლავი ბავშვის მონათველი და მის წაყვევი.

ამავე დროს ჩემთან მოვიდა მრევლისაგან გამოგზავნილი გლ. ექვთიმე დავლიანიძე და მიიხრა: მრევლი აპირებს დრამის შესახებ თქვენთან მოლაპარაკებასო და სურსთ კანცელარიაში მოხვიდეთ; უკეთეს არ გცალიათ, ხალხი მოვა აქო“. მე უთხარი—ბავში არის მოსანათლავი, იქ უნდა წავედ და სულ მალე მოვალმეთქი, მხოლოდ მღვდელთნეს უთხრით რომ მოვიდეს ჩემთან, რომელიც ამ დროს კანცელარიაში იყო. ცოტა ხნის შემდეგ, პრიეტრიკი მოვიდა ჩემთან. მანვე ჩვენ გავეწყობოდით სანათლავათ წასასვლელად, მრევლმა მოგვისწრო ჩემს ეზოში (კანცელარია სოფლისა ახლოს არის ჩემზედ); ხალხმა ითხოვა ორი კვირის ვადა დრამის მოგროვებისათვის და მაშინვე მიცემა პოლიციისათვის სრული კვიტანციისა დრამის მიღებაზედ. პოლიციის მოხელეს სრული კვიტანცია მივეცი დრამის მიღებაზედ, მრევლს-კი მისი მოგროვებისათვის მათის განცხადებისამებრ მივეცი ერთი თვის ვადა. დარბევი ოცდაათ კომლადვე თითქმის სრულიად განვათავისუფლეთ დრამისაგან, დანარჩენებს კი ლითონის სიტყვით ვენდვეი მის მოკრეფაზედ, ამის გამო ისინიც, როცა მოიხერხებენ, ვფიქრობდი, მაშინ მომცემენ. იმ დროს მისცეს ჩემს პრიეტრიკს რამოდენიმე მრევლთაგანებმა, რომელსაც ჰქონდა ხელში დრამის ფული, ოცდა თექვსმეტ მანეთამდე (მნ მ.), როგორც ლარბს და ამ ხანად დიდს მწუხარებაში ჩავარდნილს პირს; მე კი არასფერი არ მიმიღია.

შეადარეთ უტყუელად და სიმართლით ზემორე აღწერილი ჩემი და მრევლის ერთმანეთთან მომხდარი ამბავი და დრამის თაობაზედ მოლაპარაკება და გაზეთ „ისარშიდ“ დაწერილი ცრუ ამბავი და კარგად შეიტყობთ თუ რა სიმართლით არის აღტუყვილი ავტორი?

მგავსივე სიბრუნდით არის აწერილი მოქმედებანი ჩემი მეზობელი მღვდლებისა. მეორე სხვაგვარის მღვდელს გრ. მეტრეველს, რომელსაც როგორც ლარბსა და დაწერილ-შვილებულს, მისმა მრევლმა თავისის ნებით მოუკრიფა და მისცა კიდევ თავის დროზედ 1905 წლის დრამა. ეგრეთვე უპირბედენ წარსულ-1906 წელშიაც, მაგრამ



ვერ მოახერხეს, რადგან აღმოსწინდენ ზოგიერთები რომელიც უშლიდენ დრამის მიცემას ხალხს.

მესამე სხვაის მღვდელი იოვანე გიორგობიანი მსახურებს მრევლს მეორე სოფლიდან—თავის სახლიდან, საიდანაც ის ყოფილიყო წასული მესამე სოფელში—მასთან და სტრატეგიების მოსვლის სხვაეშიდ არაფერი სცოდნია დრამის მოთხოვნაზედ. მაგრამ, როგორც ვხედავთ მინც კილს სწამებენ, რომ მრევლს შეაძლონ და რაიმე მწუხარება და უბედურება შეამთხვიონ. მაღლობა ღმერთს, სიმართლის მექონი, ყოველთვის გაუძლებს დევნას და ჩავგრას, საიდანაც და როგორც უნდა იყოს იგი...

ბლ. დეკ. მახედა სხირტლაძე.



სტატისტიკური ცნობები.

მაწათ-მფლობელობას შესახებ.

ტფ. გუბერნიის თავდაზნაურობამ ამ რამდენისამე წლის წინად გადასცა თანხა და მოიწვია სტატისტიკის მცოდნე კაცი ბნი გოგინაიშვილი, რომელსაც დაავალა მიწათ-მფლობელობის შესწავლა ტფილისის გუბერნიაში. პირველად გადადებულია თანხამ რომ არ იკმარა, 1905 წ. კიდევ დაუმატეს 6000 მ. ბ-ნ გოგინაიშვილს დაუმთავრებია თვისი შრომა, რომელიც უკვე იბეჭდება და ამ ორ თვეში ცალკე კრებულად გამოვა. კვირას, 11 თებერვალს, სადგურტატო საკრებულოს დარბაზში შეკრებილ თავდაზნაურობას განუზიარა ბ-ნმა გოგინაიშვილმა თავის ნაშრომის უფრო საყურადღებო ცნობანი.

ტფილისის გუბერნიის უქირავს 35,904 ოთხკუთხი ვერსი, ზაქათალის ოლქს 3,502 ოთხკუთხი ვერსი, სულ 39,406, ანუ 4,105,000 დესეტინა (8,210,000 დლიური).

ვისი საკუთრებაა ეს ამოდენა მამული? ხაზინას ეკუთვნის მილიონზე მეტი დესეტინა და ისე ხმარობს, როგორც ეპრიანება. ამას გარდა ხაზინასვე ეკუთვნის როგორც საკუთრება 1,240,000 დესეტინა. ეს მამული უქირავს სახაზინო გლესკაცობას სახმარად.

თავდაზნაურობას ეკუთვნის 987,000 დესეტინა. მისსავე საკუთრებას შეადგენს 174,000

დესეტინა, რომელიც ნამდვილად აქვს დროებით ვალდებულ გლეხობას, ხიზნებს და სხვებს. სულ, მაშასადამე, თავდაზნაურობის საკუთრებას შეადგენს 1,171,000 დესიატინა. არა აზნაურებს ეკუთვნით: საზღველოებას, მოქალაქეთ და გლეხებს—336,000 დესიატინა. პროცენტებითა რომ ვინაგარიშოთ, ხაზინას ეკუთვნის 60%, თავდაზნაურობას 31% და არა აზნაურთ 9%.

ტფილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში თავდაზნაურობის ხელშია სულ 1,032, 775 დესეტინა. აქედან სახლ-კარის ადგილი 2161 დეს. (0,2%) ვენახ ბალისა—5670 დ. (0,56%), სახნავი—175,151 დ. (17%), საძოვარი და სანახირე—386,000 დეს. (37%), სათიბი—32,674 დ. (3%) და ტყე—431, 000 დ. (42%).


1897 წლის აღწერილობით ითვლება ტფილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში 29,347 სულ აზნაური ორთავ სქესისა. ქართველ თავდაზნაურობა 72%, სხვა ტომისა 18%, ბევრი თავდაზნაური სოფლად არა სცხოვრობს, ზოგი ქალაქშია სამუდამოდ დაბნევილებული და ზოგი ყიდვს სამსახურშია. სოფლად მცხოვრები აზნაური კოფითა 12,682 სული.

საერთოდ თითო აზნაურზე მოდის ყოველგვარი მიწა 36 დეს. მარტო ქართველი აზნაური, რომ ვინაგარიშოთ, თითოზე მოვა 63 დეს.

სულ თფილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში 6346 მამული ითვლება. მაგ. წვრილი მამული, სცა ერთიდან ოცხახუთ დესეტინამდე, ყოფილა 3390, ანუ 53%, 25—100-დე—მამული, ანუ 23%, 100—500-დე—1067 მამული, ანუ 17%, და 500 სზე მეტიან—407. ანუ 6%, ერთიდან ხუთ დესეტინამდე 1776 მამული ყოფილა.

ყველაზე ბლიმა წვრილი მამული გორის მაზრაში ყოფილა, სახელდობრ 66%, ყველაზე დიდი მამულები ბორჩალოს მაზრაშია.

თავდაზნაურობა ძალიანა დავალიანებულია. 1903 წ. პირველ იანვრამდე დაუგირავებით 559,627 დეს. ეს მამული შეუფასებია ბანკსვე 14,483,100 მანეთად. ვალად აწვეს ამ დაგირავებულ მამულს 7,713,085 მ. წლიურად ბანკებს უნდა აძლიონ სარგებელში და თანის მოსაწყვეტად 377, 938 მანეთი.



პ რ მ ს ს ა.

ახალი ამბები და შენიშვნები.

გამოვიდა პირველი ნომერი სოციალ-დემოკრატ მემბრაველსეთა გაზეთის „ჩვენი ცხოვრებისა“. უმთავრესი გულის-ყური ამ გაზეთის მემუცირესეთა და მემუბრაველსეთა უთანხმოებაზე და განხეთქილებაზეა მიქცეული. მეთაურ წერილში, რომელიც არჩევნების შედეგს არკვევს და ეხლანდელ მდგომარეობას ითვალისწინებს, გაზეთი ამბობს:

არჩევნებში მთელმა რუსეთის პროლეტარიატმა მხოლოდ სოციალ-დემოკრატია იცნო თავისი ინტერესების გამოხატველად, თავის ხელმძღვანელად სცნო მისი სოციალისტური და რევოლუციონური მცნებები და მით ერთხელ კიდევ დაამოწმა, რომ ის რუსეთის რევოლუციის ღირსეული ბელადია.

მაგრამ რუსეთის ს.-დ. ერთი მთლიანი პარტია აღარ არის, მემუბრაველსენი და მემუცირესენი უკვე იმდენად დაშორდნენ ერთმანეთს, რომ არჩევნების შესახებათ კი სხვა ტაქტიკას აღგენდენ და ზოგან ერთად კი არა, ერთი-მეორის წინააღმდეგ იბრძოდნენ, როგორც მაგ. პეტერბურგში. როგორც ჰგონია გაზეთს, რომელიც ეს „ღირსეული ბელადი რუსეთის პროლეტარიატისა?“ გაზეთი ამ საგნის თაობაზე ამბობს:

დასკვნა: მენშევიკები არ არიან ნამდვილი სოციალ-დემოკრატები, ისინი მხოლოდ სიტყვით სოციალ-დემოკრატობენ, საქმით—ლიბერალების მაჩანჩალები არიან.

ცხადია, რომ პროლეტარიატს თავის კურიებში სწორედ „ბოლშევიკები უნდა აერჩიან, თუ მართლა ისინი მიაჩნია მას თავის ბელადად. მაგრამ თვით გაზეთი „ჩვენი ცხოვრება“ გვეუბნება: „მენშევიკების“ რაიონებში მუშებს თითქმის ყველგან ესერება აურჩევია რწმუნებულმებად“.

უნებურად გვაგონდება ერთი ადამიანის გენეალოგია, რომელიც ამტკიცებდა, მამა გერმანელი მყვანდა, დედა ქართველი, მე რუსი ვარო. რაიონი „მენშევიკებისა“, რაიონს „ბოლშევიკები“ მიაჩნია თავის „ღირსეულ ბელადად“, რწმუნებულად კი რევოლუციონერებს ირჩევენ. უცნაური ლოლიკაა!..

(„ისარო“)

* * * კორნოულის კეკელის მივლელს გ. მ.ჭარაშვილს პოლაცის ბოქაულის ჯღსხიშვილის მოსენებით, რო-მელსაც ვაბორავს მოწოდების პროკლამაცია ადმოქინა კორნოულის კეკელის კედეზე შეკრული, გუბერნატორმა რუსეთში გადასახლება გარდაუწყვიტა. მღვდელმა სთხოვა გუბერატორს გამოძიების დანიშნა ბოქაულის ჯღსხიშვილის მოსენებისას. გუბერნატორმა დანიშნა ფინცელი გამოძიება. მოვიდა ჟანდარმის ოფიცერი კორნოული და გამოძიება საქმე. ჯღსხიშვილის მოსენება არ გამოთლდა. მღვდელი მრეკლამ მოითხოვა, ამ ბოლო დროს მრეკლამა დეპუტატს გაცხადებოდა იმერეთის ეპისკოპოსთან, რომ მღვდელი დაქორწინება თ მრეკლამსთავის. დეპუტატმა ჩავიდა ქუთაისში და როცა გააგო, რომ მღვდელი უკვე განთავისუფლებული არის ძღაერ სსისსრულოდ დაურხათ...
* * * 13 მარტს შადამბერიძემ სოფელს ცნსწყაროშია როცა სადამოს შინ მაღიადენ ერთად მამაშვილი მამს თავში ქვა დაარტყა და ბოლოს თავი გაუტყვა ქვით და მოკლ. მეორედ დღეს მეგლარი კაცის გვამი ნახეს ცხსამად. მამსვე შეუდგა პოლიცია მეკლელის აღმოჩენას და შეიკრეს სსსმ ადმოჩინა მეკლელის მასივე შვილი ბოქაულმა მასრასქმე. ტახასმოსმა ამ შვილის მამის სისხლშია არას გასწრილი. მეკლელი 21 წლის არის და დაჭრილია. ამბობენ რომ ორგანიზაციის კაცო ეყოფო, მაგრამ რა ორგანიზაციისა არ ვიცით...
* * * ჩვენ გვატუობინებენ, რომ გორას ჯვას კეკელსია გუბარტავსო ბოროტ კაცებს, რამდენიმე კაცების თანდასწრებით.
* * * სამწყურად შორანის მაზრაში კასმარად დარგული ამერკანული ვასების ქურდობა, ქქვის კაცო ორგანიზაციის სსხელთ დათარეშობდნენ შორანის და შროშის სსზოკადოებასა, და ხაღსნ ძარტვადენ. ამასწინეთ სსზოკადოება ადგა მოღადა და შეიპურეს ეს კაცება და პოლიციას ჩაასარეს, რაც ისინი დააჭირეს ერთი შეშთხევა არ ეოფილა გაძარტვისა. ქვათურიდან მუშები მიადან, რადგან ამ ბოლო დროს ბევრა კვლება რადგა სსეკლემით.

* * * ბღადლოჩინების და მღვდლების არჩევა. სსსინდო კანტორამ განისიჯა კანკარეკლება სინდის, მღვდლების და ბღადლოჩინების არჩევის შესახებ. კანტორამ დააღვინა. მიწერილობა გაცხადებინოს ეპისკოპოს-



სებს. დადგინა აგრეთვე, შემოადგინა სახელმწიფო ოქტეში სახელმწიფო საბჭოები, რომელთაც აღმასრულებელი უფლება ექნება და ადგილობრივ წვრილმან საქმეებსაც განიხილავენ. საბჭოების წევრებსაც იქნებიან ხელმწიფი, მდივლებიან მოძღვარი, მუდავიდუ და ორი მდივლები.“

მრევლისკან მდივლების არჩევის საკითხის აღჭურვაში დიდი წინდუსხადობა გამოიჩინა უკანსენულმა კრებაში, რომელიც თფილისში მოხდა 1906 წელში. ასე მოყოლიერებათ და ნაქარევად შედგებელი მოსენება და განხიება სინთლის დიდ ზარადს მოტრანს ჩვენს კვალსთან. დწვლილებით რედაქცია შემდეგ ნომერში გამოისტეჟის თავის აზრს...

* * * „ახალშენი“ თბილისში დაარდა საზოგადოება „ახალშენი“ რომელმაც მკართობის და განაშენილის ადგილები შეიძინა იმ ზირობით, რომ იმ ადგილებზე დასახლდნ ღარიბი ხალხი. ადგილების შექმნის სურვილი ჟურნალისათვის 1500 კაცმა განუცხადა,

* * * ი. გ. გომართელს, რომელიც აქედის ქუთაისის სატუსადოშა, როგორც ამბობენ, ნებას აძლევს იტხოვროს ბიროჟოში.

* * * 9 მარტს ბირეჟუმას საქალაქო სასწავლებლის ზედატორუმს საბჭომ განაწყოცარა დახურვას მიეჭესე ძირითადი და ზარადღეური კლასები და მოაწვდოდა, რომელთა რიცხვი 60-მდე ადის, დაითხოვეს. მოსწავლეებს ნება ეძლევათ მისაში ეგზამენები დაიპირიან. მოსწავლეთა დაითხოვის მიზეზად იმას ასახელებენ, ვითომ ისინი მავნებლად მოქმედობდნენ უმცროს ამახ. საბჭოზე.

* * * ქუთაისის სახელად მამულთ ბანკის ზედამხედველ კომიტეტს აზრად აქვს შუამდგომლობას ადრას ნამეტნიკის წინაშე, რომ ბანკის მართვა-გამგებობაში ადგენილ იქნას ნორმაღური მდგომარეობა და რწმუნებულებს ნება მიეცეთ, კამეტობის თაგეჟდომარე თითონ აირჩიან, ნტვლად ბ-ნ მეღანიკოთიას, რომელიც სმას-სურდითაც გადადგა. გარდა წერლობითი შუამდგომლობის, ზედამხედველ კომიტეტს აზრად აქვს დეპუტატობა ეკანანის ნამეტნიკიანს, ამავე საკანზე ბანკის რწმუნებულებმა შრმანწინაც ადრეს შუამდგომლობას, მკრამ სმინირტობა, თანხმად ნამეტნიკის მოსახრების, ნადრეგად იტნო ახეის მოსხნა ბანკზე.


* * * სახელმწიფო სათათბირისი დიდი იმედი ჰქონდათ ბევრს ზირადობაღენ ჟურნალ-გაზეთებში მისკან ხალხს. ჩვენ თადაზბირეულად ვამბობდათ და ვსწრდით, რომ ეს დანაზბირეა ჟურნალ-გაზეთებისა ცატრუფდება მეტი—და ისეც ასრულდა ვგონებ. 1 თვე აზრს რად

დუმს მუშაობს და ხალხისთვის სსიაშაფონ და შესამხნევი არა გაკეთებულა-რა. არც შემდეგში შეუძლიათ დიდი რამეს გაკეთება. მუხლ-მოდრეკილი თხრობით თუ რამეს გააკეთებენ, თორემ ასე არა შეუძლიათ.რა. მართვლობაში ზირდაზირ გამოუცხადა, რომ თქვენა არ ტეჟობინათ. ელად დეპუტატობის ხალხის იმედი აქვს და ხალხს დეპუტატობის, რომ იგინი თავის სურვილს ძალით შესასრულებინებენ მთავრობას, მკრამ როგორ—? ეს ადარ ვიცით. შეუძლია თუ არა ხუთას დეპუტატს ჟარს გაუმკლავდეს?..

* * * ბტონი ახ. ე—ლი ტრემლებს ღერის გაზეთი საკავკასიში იზის გამო, რომ „საქესარსოსის მოამბე“ დაიხურა და სამდივლოებებს თავის განსართვლობად ვეღარა უთქვამს რაო. სწორეთ სასცინთა ახ. ე—ლის ესეთი გრდობის ახ. ე—ლი ტარის რომ ამისთანა ჟურნალი სამდივლოებამ დახურა და „სიტუეეც“ საშუალობის უმიქსენლობის გამო მოიხზოვო. „მიქეისა“ თუმცა არსებობს, მკრამ იმაზე ვერაფერს ვიტყვი, რომ არავის ვაწყენათოვო. განაგე ბ. ე—ლი თქვენა ფარისეულობა და ზირდაზირ და მრთლად ილაზარაკეთ. როცა ჟურნალები და გაზეთები არსებობს რწმუნელი და ქართული ჩვენში და რუსეთში? ვინ დაუარსა ჩვენს სამდივლოებებს იმ ჟურნალ გაზეთებში ბუტლავა? წინააყად მანაც ვეღარ გამოხსენებ მკრამ ამა მითხროთ ვის სცადიან ამისთანა საცენებზე წერისათვის?! ახ. ე—ლს დიდი იმედი აქვს ქალაქის სამდივლოების მკრამ ფრად მოტყუებულა...

შეწირულება

უმორწილესად გთხოვთ, მ. რედაქტორო, ნება მობოთთ თქვენი ზატეგეუმული ჟურნალის „მიქეისა“ საშუალებით ჩემი უღრმესი მადლობა გამოთვცხადო რწმუნებულს ჩემდამო ზედარგნის სამრეგლობა მცნოერეს სახანო როსტომის ქე გუფრინდაშეილის, რომელმაც კეთილ-ინება და რწმუნებულსავე ჩემდამო ზედარგნის წმიდის მთავარანგელოზის ეკლესიას შემოსწირათი რწმუნელი ბაირდა, (დროშა) დირებული ოცდასამ მანეთად (23 მ. 20 ბ.)
 ფრად დასურველას სახანო გუფრინდაშეილის კეთილ მკლადის სხეებმაც წაბიან ეკლესიის გასამშვენებლად, რათა დემეომან „წმიდა ჭეოს მოყვარენი ხალხისი მისიას შეენიერებინან“.
 ზედარგნის წმიდის მთავარანგელოზის ეკლესიის მდ. ბ. ვაჟმაქ.





სწავლა და მეცნიერება ქრისტიან- ნობელიკ სარწმუნოებასა და კეთილ- ზნეობაზე.

ს ი ბ შ ა

თქმული საღმეღის ეკლ. კურთხევაზე 12 ნოემბერს 1906 წ.

საყვარელნო ძმანო! თქვენის მხურვალე სარწმუნოებისაგან გამოწვეული შრომით, მეცადინეობით და ღვთის წყალობით აღშენდა მშვენიერი ესე ტაძარი; მიუხედავად იმისა, რომ ამ ეკლესიის შენების დროს განუღო მრავალმა ქარიშხალმა, ქარიშხალმა ატეხილმა, სხვათა-შორის, წინააღმდეგ სარწმუნოებისა და ეკლესიისა—მაგრამ მაინც აღშენდა ტაძარი ესე, სადაც ყოველს თქვენგანს, ღვთის და კაცის სიყვარულით გამსკედილულს ამიერიდგან ექნება შემღება მოვიდეს აქა და თავისი გულის ჰასუსტი და მოქმედება იღუმალის ლოცვით შეავდროს უფალსა; კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან მოგცა თქვენ ასეთი სიმზნე და ძალი ეკლესიის აშენებისა, კურთხეულ იყოს მარჯვენე თქვენი ამიერიდგან მტკიცე ყოველსა ზედა საქმესა კეთილსა და ღვთის სასიამოვნოდ და ურთიერათს სასარგებლოდ წარმატებული!..

რამოდენადაც დიდი მწუხარება და იწროება განიცადეთ, ძმანო, ამ ეკლესიის აშენების დროს იმოდენად სასიხარულო და სახეტარო იქნება ყოველი მორწმუნეთათვის, რომელიც ხელავს თქვენს პატიოსანს ნაშრომს მით უმეტეს, რომ აქ ეკლესიაში ჰპოვებს კაცი განსვენებას, მყუდროებას, ნუგეშსა და აღმადრენას;—შრომისაგან დატანჯული, კაცისაგან შეურაცხ-ყოფილი და გათვლილი ადამიანი აქ, ეკლესიაში, მოიფონებს, დამშვიდდება, სულიერად ამაღლდება და მით, დაიფუჭებს რა განვილილ მწუხარებათა, კვლად აღიჭურვება კეთილის საქმისათვის, მოყვასთადმი სიყვარულით, მტერთა და მოძულეთა ლოცვა-კურთხევით, ვინაიდგან ყოველთა მწუხარებათა შინა ნუგეშინის მცემელი არის


ღმერთი, რომელსაც უმეტესად აქ მოიგონებ, ძმანო, ეკლესიაში.—მაგრამ ვინაიდგან ჩვენ ვღვევართ ახლად აშენებულს და ნაკურახს ეკლესიაში ვიფიქროთ იმაზე თუ რა სწავლას გვაძლევს ეკლესია და ან რით განსხვავდება ეგ სწავლა სხვა საერო სწავლათაგან.

ქვეყნთხედი ეკლესიური სწავლისა, არის ღმერთი და კაცი ანუ როგორც იტყვის უფალი: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი“. ეს სწავლა იყო რომ უხარბა ქრისტეს მოციქულებმა და შემდეგ მათმა მოადგილეებმა მთელს კაცობრიობას; ამ სწავლისა და მოძღვრებისათვის დაშვრებოდნენ მოციქულნი ქრისტესნი, ვინაიდგან უმაღლესი ამა სწავლისა შეუძლებელია სხვა რომელიმე სწავლა; როდესაც შენ გიყვარს ღმერთი, შენი გამჩენი და მოყვასი, ანუ ყოველი ადამიანი, როგორც შენი თავი მხოლოდ მაშინ ხელედ სრულს ერთობას, თანასწორობას და თავისუფლებას ღვთის შიშით და მორიდებით განმტკიცებულსა და შეზავებულს. ამ ღიდებულის სწავლისათვის არ დაუხოვავს ქრისტეს მოციქულებს თავისი ძალა და ქვეყნიური ცხოვრება; ისინი ყოველთვის მზათ იყვნენ ღიდ სულოვნებით შეხვედროდნენ ყოველივე ტანჯვასა და მწუხარებას რაც უნდა აუტანელი ყოფილიყოს მაინც, ისინი (მოციქულები) ჯერ თვითონ ასრულებდნენ ქრისტეს მცნებას და მერმეთ იხოვდნენ სხვისგან, ჯერ თვით მიდიოდნენ ჯვარზე საწამებლად და მით, ცხოველის მაგალითით, სხვათაც უნადერძებდნენ ასეთსავე მოღვაწეობას; ხოლო ძალმომრეობა მათის მხრით არ ყოფილა, შევიწროება მათი საქმე არ იყო, მათი მოქმედება გამოიხატებოდა ქადაგებასა, წმიდა ცხოვრებასა და ცხოველს მაგალითებში, ანუ როგორც უთხრა მთი მაცხოვარმა: წადით და უქადაგეთ სახარება ჩემი ყოველსა დაბადებულსო, თუ მიგლიონ დარჩით და იქადაგეთ; თუ არ მიგლიონ ფგნთა მტვერი გაირეკეთ და მოშორდით მათო“, ე. ი. ზნეობრივი გავლენა იქონიეთ მსმენელეზზე, ხელით მოინადირენით იგინო და ეს იყო იმის მიზეზი რომ ქრისტეს სახარებამ მოიარა მთელი ქვეყანა და მზათ არის თავის ცხოველს მყოფელს სწავლას დაუმორჩილოს ყოველი ადამიანი.

მაგრამ ქრისტეს სწავლის ზრდასთან და გავრ-

ცვლებასთან იზრდებოდნენ და ვრცელდებოდნენ და ვრელდებიან დღესაც სხვა სწავლანი, რომელთაც მიაპყრეს კაცის გონება მხოლოდ ქვეყნიურს ღიღებზე და ნეტარებაზე; ამ სწავლით კაცი მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი თუ ის დამაყოფილდება ნივთიერად, თუ მის არ მოჰყვება, არ მოსწყურდება; არ შესცოდება ე. ი. ყოველივე ის რაც საჭიროა ქვეყნიური ცხოვრებისათვის მზათქნება; ხოლო ღმერთი, ეკლესია, სარწმუნოება და მაღალი ზნეობა, რომელიც ღმერთს დამზავსებს ადამიანსა. დატოვებია და უარ უყვია; მაღალი ზნეობა მეთქი ვამბობ იმისთვის, რომ როდესაც კაცს ღმერთი დაიწყებდა იგი ემზავებდა ბირუტყვსა, რომელიც არ განიცდის არავითარს ნათესაობას, არავითარს ცოდვას, არავითარ შიშს ვინაიდან ასეთს კაცს თავისთავზე უმეტესად არავინ არ მიაჩნია, არ სწამს მომავალი, საიქიო ცხოვრება და მაშასადამე არავის წინაშე პასუხის მგებელია არ სთვლის თავისთავსა. მაგრამ განასეთი სწავლა და მდგომარეობა მიანიჭებს კაცს ბედნიერებას? განა ასეთი სწავლით დამყარდება მშვიდობა ქვეყანაზე? როგორ უნდა იგრძნოს, ძმაო, კაცმა თავი, რომელიც დარწმუნებულია მშაში, რომ მისი ცხოვრება ამ დედამიწაზე იწყება და აქვე თავდება?! იმაზე უფრო საცოდავი, იმაზე უფრო უსასწუესი და საბრლო ვგონებ არაფერი იქნეს ქვეყანაზე... თვით ბირუტყვი, რომელიც შენს ხელშია, შენს ნებაზე ამუშავებ, როგორც გინდა ისე იმსახვრებ უფრო ბედნიერია ურწმუნო და უღვთო ადამიანზე, ვინაიდან მას (ბირუტყვს) მეტი წაროდგენაც არ აქვს; და შენ გონიერო კაცო, რომელიც მაღლის ქულით განსჯერტ ყოველივეს და იკვლევ ღვთის სიბრძნეს როგორც ფიქრობ, რომ ყოველივე აქ დედამიწაზე იწყებოდეს და აქვე თავდებოდეს შენი ცხოვრება? ნუთუ ასეთი ადამიანი პოვებს მშვიდობას ქვეყანაზე, ნუთუ ასეთი ადამიანი მუდამ დატანჯული და დაფანტული არ იქნება? კიდევაც რომ ეს ესე იყოს ამბობს ერთი ფილოსოფოსი აღმავყრობ ხელსა და ვეცდრები უზენაესს რომ არ მიმცეს სრულიად დავიწყებასა და ამა ქვეყნიური ცხოვრებით არ მოსპოს ჩემი არსებობაო.—ხოლო მეორე ღმრად განსწავლული მეცხრამეტე საუკუნეში მცხოვრები პოეტი, ბელეტრისტი და დიდებული ორატორი (ვიქტორ

პირგო), რომელსაც თავის დროს დიდი გავლენა ჰქონდა პოლიტიკურ და საკანონმდებლო კოხეგების გადაჭრაში ასე ამბობს ერთს თავის სიტყვაში: „რაოდენადაც მეტად იზრდება კაცი მით უფრო უმეტესად უნდა სწამდეს. ცხოვრება არაფერად არ ეღიბებოდა რომ ჩვენ საუკუნოდ ვცვდებოდეთ, ამისათვის ჩვენ სჯულის მდებელი, მწყემსნი, ეპისკოპოსნი და ყოველი დარგის მწერალი ვალდებული ვართ ყოველის ენერგიით ვებრძოლოთ სილატაკეს და აღვამაღლოთ ყოველი ადამიანი ღვთაებამდე, აზრით და სულით მივისწრაფოთ მეორე ცხოვრებისადმი სადაც მიეგება კაცად კაცისა საქმეთა მისთავრებ; ამისათვის განცხადებულად ვიტყვი რომ მე ღრმად მწამს უყეთესი მომავალი ცხოვრება... მე მრწამს იგი ჩემი რწმენის ყოველივე ძლიერებით... და არის იგი საუკეთესო და უმაღლესი ნუგეში ჩემის სულისაო“. ღიათ, ღრმად განსწავლულნი ადამიანნი და არა ზერელეთ შემთვისებელნი მეცნიერებისა აკვირდებოდნენ ღმრთის მიერ გონიერულად შექმნილს ქვეყანას და ზედავდნენ რა საკვირველსა სიბრძნეს, ვერ განივრებას ყოველივე არსა და ქმნილებაში, ვერ პასუხის მგებელი წინაშე დიდის საიდუმლოებისა, გონებით მაღლდებოდნენ ღმრთაებამდე და ესრეთ ძმანო ნამდვილი და ქეშმარიტი სწავლა ღმერთთან დაახლოვებს კაცსა, ღვთაებამდე აღამაღლებს კაცის გონებასა, ვინაიდან, როგორც იტყვის მოციქული „უბილავი იგი მისი დასაბამიდან სოფლისათ ქმნილთა მათ შინა საცნაურად იხილვების და სამარადისო იგი ძალი მისი და ღმრთაება“. (რომ 1-20) სწავლა და განათლება მით არის კარგი რომ თავის თავს შეგანებინებს ადამიანს, სწავლის საშვალებით კაცი წინააღუდგება ყოველს მისს ცხოვრებაში დამბრკოლებელს მიზნებსა, წინ წასწევს კაცისთვის ცხოვრებასა, რომელსაც უნდა ვცილობდეთ ყოველი ადამიანი, გარნა ღმერთი როგორც შემომქმედი ცის და ქვეყნისა, როგორც მიზნე ყოველთა დაბადებულთა უნდა მარადის გავსოდვდეს, მით ვნუგეშობდეთ და ვცოცხლობდეთ რათა ღმერთმანცა გვიცნოს ჩვენს მოვცევს ყოველი კეთილი ვინაიდან, იტყვის მოციქული პავლე „რომელსა უყვარს ღმერთი, იგი ცნობილ არს მის მიერ (ა. კორ. 8-3) და ვერიდებოდეთ, ველტოდეთ ყოველს რეზისა და





ეკლესიის შემავინებელს სწავლისა, ასეთი სწავლა არის სისულელე წინაშე ღვთისა ხოლო თქვენ ადიდეთ ღმერთი ზნობითა მავით თქვენათა და სულათა მავით თქვენათა, რომელთა იგი არს ღმერთისა. ა. კორ ს.-21

იქნება მკითხოს ვინმემ თქვენ როგორი ხართ მწყემსნი ერისანი, წინამძღვარნი ეკლესიისანი, რომელნი ქადაგებენ მარხვასა და თვით არ მარხავთ, რომელნი სიტყვით წინააღმდეგებით ცოდვასა და საქმით კი აღსავსე ხართ ცოდვითა, რომელნი ქადაგებთ მოწყალეებასა და თვით არა შეიწყალებით?!—უკეთუ არიან ასეთნი მწყემსნი და მოძღვარნი ამხილვ ძეო, პირუთენელითა სიტყვითა; ნუ ჰგონებ, რომ იგი უპირატესია შენზე, პირიქით, შენი ქრისტიანული სიყარულით აღსავსე ცხოვრება ამტკიცებს, რომ შენ უფრო მეტი სიმართლე გაქვს, უფრო მალა სდგებარ იმაზე;—საუბედუროდ ჩვენდა ახლანდელ გარემოებაში ზოგიერთს მოძღვარს თვისი მღვდლობა მიანჩია მხოლოდ საღსრად ცხოვრებისა, იგი უყურებს მღვდლობის სიწმიდეს და სიდიდეს ვაჭრულის თვალით და დავიწყებია მოციქულის სიტყვები, რომელსაც ეტყვის მას, „ისწავე თავისა შენისა რჩეულად წარდგინებად წინაშე ღმრთისა მუშაკად ურცხვენელად, წარმართებად სიტყვასა მას ქვეშაორტვისასა, ხოლო ბილწთა მათ და ცუდთა ხმათა განეშორე“ (ბ. ტიმ. 2—15,16) და კვალად: სახე ექმენ მორწმუნეთა მათ სიტყვითა, სლვითა, სიყარულითა, სულითა, სარწმუნოებითა და სიწმიდითა (ა. ტიმ. 4—12). სახეთ მივიღოთ ძმანო მოციქულის სიტყვები და ჩვენის კეთილის ცხოვრებით და მოღვაწეობით შევაძლებუქით ის მიმე ტვიართ, რომელიც არის ხარისხი მღვდლობისა, ხოლო უკეთუ არა კეთილად ვმღვდლობდეთ და ვმწყსიდეთ ვაჟ ჩვენდა რამეთუ პასუხს ვაგებთ წინაშე მაცხოვრისა.

დასასრულ განმეორებით მოგილოცავთ ძმანო, ეკლესიის აშენებას და გეტყვი: გიხაროდენ და კვალად გიხაროდენ!! მაღლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და საყვარელი ღვთისა და მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა. ამინ.

ბლ. მღ. სიმონ ჭვლიძე.



და ნუ შემინებანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსნენ ჩვენ ბოროტისაგან.

პირველი და დაუდგარი მტერი აღამიანისა იყო, არის და იქნება ეშმაკი, ვიღრემდის სიუღლებით არ დასთრგუნავს მას იესო ქრისტე თვი დიდებით მეორედ მოსვლითა. ქრისტეს შობამდის მას ჰქონდა დიდი უფლება დი ძალა, მკაცრად ავნებდა იგი აღამიანსა როგორც სულიერად, ისე ხორციელად, რის მაგალითებაც წარმოვიდგენენ სახარების მოთხრობანი შესახებ იმ ეშმაკეულთა და სხვათა სწეულთა აღამიანთა, რომელთაც ჰკურნავდა იესო ქრისტე თვის ღვთაებრივი ძალითა. ახალ აღთქმაში, თუმცა შემცირებულია ეშმაკის ძალა, მაგრამ შერჩენილის ძალითაც ბევრს ავნებს იგი აღამიანსა თვისი ბოროტი მანქანებითა, რომელიც არის დაფარული და მით უფრო საშიში და მავნებელი, თუ აღამიანი არ იქონიებს ზნეობით სიფიზილესა. ყოველი მაცდურება ეშმაკის მხვრივ აღამიანის საწინებელად არის მისთვის განსაცდელი, რომლის მიზანიც მღვობარებას იმაში, რომ აღამიანს შეეცოდინოს რითმე, მის სულის წარსაწყემდად. ამ ბოროტისა განსაცდელისაგან ხსნას სთხოვს ქრისტიანე მამა-ღმერთსა.

ფრიად საყურადღებო და სამომძღვროა ისა, რა საზარელ განსაცდელში ჩაავდო ეშმაკმა, თუმცა ღვთის ნებართვითა, ძველი აღთქმის მართალი კაცი იოანე:

იობი იყო ჩამოშავალი აბრაამის ძმის ნაქორისა, სცხოვრებდა აღმოსავლეთს არაბეთში. იმისი სახელი განთქმული იყო იმ ქვეყანაში სიმღიღრითა და მომაძებულად წმინდა ცხოვრებითა. მას ჰყვანდა შვიდი ვაჟი შვილი და სამი ქალი. მის სიმღიღრეს შეადგენდნენ: შვიდი ათასი წვრილფეხი საქონელი, სამი ათასი აქლემი, ხუთასი უღელი ხარი, ხუთასი ვირი, მას ახლდა მრავალი მსახური. მისი შვილები რიგით მართავდნენ ერთმანეთში წვეულობას და ღზინობდნენ. ყოველ წვეულობის შემდეგ იობი, შვილთა თანადასწრებით, სწირავდა ღმერთსა მსხვერპლსა და ლოცვასა, იმ ფიქრით ვინიცობაა შეეცოდა რითმე ღვთის წინაშე ვისმეს მთვანში ღზინის დროს, ასეთი ზნეობითი ყურადღება ჰქონდა იობსა როგორც თავის თავზე, ისე შვილებზე.



აი მიბაძვის ღირსი მაგალითი მშობელთათვის!.. მოვიყვანე აქ დაბადების წიგნიდან მოხსრობას. ერთხელ ზეცაში წარსდგნენ ანგელოზნი ღვთის წინაშე. ამ დროს მოვიდა სატანაცა—ემმაკთუმფროსი. უფალმა ჰკითხა სატანასა: „შენ საიდან მოხვეცი?—სატანამ უპასუხა: „მე ვიყავი ქვეყანაზე და მთლად იგი შემოვიარე.“ უფალმა ჰკითხა: „მიიქციე შენ ყურადღება ჩემს მონას იობსა? ქვეყანაზე არ იბოვება სხვა კაცი, როგორც იგი არის კეთილი და მორიდებული ყოველსა ბიწიერებასა.“—სატანამ უპასუხა: „იობი განა მექთად ესახურება ღმერთსა? თვით შენ არ იცავ მის სახლსა და საკუთრებასა? ყოველ მის საქმეს შენ აძლევ წარმატებას და უმრავლეს საქონელსა. ხოლო გამოსცადე, წაარუვი მას, რაცა აქვს, მაშინ დაინახავ, როგორ იგი უარგუფეს შენ.“—უფალმა უთხრა: „ყოველ მის ქონებას ვანდობ შენს ნებას, ხოლო თვით მას ნუ გუყვები.“ სატანა მოშორდა უფალსა.

ერთ დღეს იობის ვაჟები და ქალები ღვინობდნენ უფროსის ძმის სახლში. მოდის იობთან მოამბე და ეუბნება: „შენი ხარები, წყვილად დაუღელღინი, იყენენ მინდვრად და მათთან ვიბრებ ცნობდენ, უცებ დაეცნენ მტერსი, გაირეკეს იგინი, ხოლო მსახურნი დახოცეს გადავრჩი მხოლოდ მე და მოვიბრინე, რომ მოგახსენო შენ.“ ამბე დროს მოდის მეორე მოამბე და ეუბნება: „ზეციდან ჩამოვარდა ცეცხლი და დასწვა მთლად შენი წვრილ ფეხი საქონელი და მწყემსნიცა, გადავრჩი მხოლოდ მე და მოვედი, რომ გთხარა შენ.“ ამბე დროს მოდის ახალი მოამბე და მოახსენებს იობს: „ქალღვევლთა გარე მოიცივს აქლემები, წაახსეს იგინი, ხოლო მსახურნი დახოცეს, გადავრჩი მხოლოდ მე და მოვედი, რომ მოგახსენო შენ.“ მინამ იგრ ამას მოახსენებდა, მოდის კიდევ მოამბე და ეუბნება იობს: „შენი ვაჟები და ქალები ღვინობდნენ უფროსი ძმის სახლში; უცებ წამოვიდა უდაბნოდან საშინელი ქარიშხალი, შემოეცვა სახლსა, დაქცია იგი და შენი შვილები ყველანი დაიღუპნენ; გადავრჩი მხოლოდ მე, და მოვედი, რომ გაცნობო შენ.“ მოისმინა რა იობმა ესოდენ საზარელი ამბები, ადგა, დაიხია ტანსაცმელი, მოიპარცა თავი (ესეთი ჩვეულება იყო მწუხარების ძველ დროში) ნიშნად

მწუხარებისა, დავარდა მიწაზე, დაემხო პირქვე უფლის წინაშე და სთქვა: „შიშველი გამოველ მე ჩემი დედის მუცლიდან, შიშველივე დავბრუნდები ღვდამიწის მუცელში; ღმერთმა მომცა, ღმერთმავე მიიღო, იყავ კურთხეულ სახელი უფლისა! ამ სახით, იობმა არც ერთი უფუფური სიტყვით არ შესცოლა ღმერთსა.

კიდევ წარსდგნენ ანგელოზნი უფლის წინაშე, სატანაც ისევ მოვიდა, უფალმა უთხრა სატანასა: „საიდან მოხველი შენ.“—სატანამ უთხრა: „მე ვიყავი ქვეყანაზე, რომელიც სულ შემოვიარე.“ უფალმა ჰკითხა: „მიიქციე შენ ჯეროვანი ყურადღება ჩემს მონას იობსა, როგორი კეთილი და მართალია იგი, როგორ მოშორებულა ყოველსა ბიწიერებასა,—იგი აქამომდე მტკიცეა თვის კეთილმოქმედებაში, ხოლო შენ მიიტყულებდი მე მის წარწყმენდასა უდანაშაულოდ?—სატანამ უპასუხა: „სხვის ტყვეში შეიძლება ტანჯვა, ოღონდ კაცმა საკუთარს უშველოს; კაცი თანახმა გახდება, რომ მისცეს ყოველი, რაცააქვს მას თვის სიცოცხლისთვის; ხოლო გამოსცადე, შეგებ მის ძვლებსა, მის საკუთარ სხეულსა, მაშინ დაინახავ, როგორ იგი უარგუფეს შენ.“ უფალმა უთხრა სატანასა: „მე მივიწყებ შენ, რომ უყო იობსა ყოველი, რასაც მოინდომებ; ხოლო მის სიცოცხლეს გაუფრთხილო.“ სატანა წამოვიდა უფლისაგან და მოსწყდა იობს სხეული თავიდან ფეხებამდინ ფრად საზარელი კეთორენებითა. იობს სიცოცხლითვე უღებოდა სხეული, იგი იჯდა ნაცარზე და ნატყვრით იფხეკდა ტანიდან ჩირქსა. მისი სუნთქვა იყო საზიზღარი. არამთუ ყველა ნაცნობმა და მეზობელმა დაუტყვეს იგი, თვით მის ცოლმაც მოაკლო მას თანაგრძნობა. ერთხელ ცოლმა უთხრა იობს: „შენ ისევ დანდობილი ხარ კეთილზე, უარპყვი ღმერთი და იგი მოგკლავს შენ“. იობმა უთხრა მას: „შენ ამბობ, როგორც ვინმე უფუფური: თუ ჩვენ გვიყვარდა კეთილის მიღება ღვთისაგან, მაშ რატომ არ უნდა მივიღოთ ბოროტაცა.—კიდევ არ შესცოლა იობმა სიტყვითაც.

იობის სამთა მეგობართა შეიტყვეს მისი უბედურება და მოვიდნენ მასთან ნუგეშის-საცემლად. დაინახეს შორიდგან და ვერ იცნეს. რადგანაც პირის სახე არ უჩანდა. მოჰყვნენ იგინი ტირილს, დაიხიეს ტანსაცმელი, თავზე წაიყარეს ქვიშა და

დღე მწუხარებაში შვიდი დღე და შვიდი ღამე ისხდნენ ივინი იობის პირდაპირ. ვერაინ მათგანმა სიტყვა ვერ დასძრა, რადგანაც უბედურების სიმძიმემ მოაკლო მათ სიტყვის ძალა, რომ ეთქვათ სნეულისთვის რაიმე სანუგეშო. ბოლოს თვით იობმა დაარღვია დუმილი: მან დასწყველა დღე თვის გაჩენისა ამ ქვეყანაზე, სადაც მოელოდა მას ესოდენ დიდი უბედურება. მაშინ დაელოპარაკნენ მას მეგობრებცა. ისინი ამ ჰაზრისა იყვნენ, ვითომ ღმერთი ამ ქვეყანაში მართალსა მხოლოდ ასაჩუქრებს, ცოდვილს კი სჯის. ამიტომ იობზედაც იფიქრეს, რომ იგი ტანჯული იყო ცოდვათათვის და ურჩიეს მას შენანება. იობი არწმუნებდა მათ, რომ იგი იტანჯება არა ცოდვათათვის, არამედ ღმერთი ზოგს ადამიანს აბედნიერებს, ზოგს აუბედურებს თვის მიუწუთომელი ნებითა. მეგობრებმა არ დაიჯერეს ეს ქეშმარიტება. მაშინ იობმა სთხოვა ღმერთსა, რომ იგი თვით გამოცხადებულიყო და დაემოწმებინა იობის უმინკოება.

ღმერთი ნამდვილად გამოცხადდა იობს ნიავექართი და დააყვედრა მას ღვთისგან ანგარიშის მოთხოვნა ქვეყნის გამგეობაში. ხოლო ის ჰაზრი, რომ ღმერთი განაგებს კაცთა ცხოვრებასა თვის წმინდა ნებითა, მოუწონა იობსა. ამასთან მის მეგობრები ღმერთმა შერაცხა ცრუ მსჯელობისთვის და უბრძანა მათ, რომ ეთხოვნათ იობისთვის, რათა შეეწირა მას მსხვერპლი და ელოცა მათთვის ღვთის წინანე. მათ აღასრულეს ეს ბრძანება და ღმერთმაც მიიღო იობის მათთვის ლოცვა და მსხვერპლი.

შემდეგ ამისა უფალმა დაასაჩუქრა იობი უმეტესად. იგი განიკურნა სნეულობისაგან. მისი ქონებაც უფრო გამრავლდა. კიდევ ეყოლა მას შვიდი ვაჟი და სამი ქალი. მან იცოცხლა კიდევ ას ორმოცი წელი და გარდაიცვალა ღრმად.

იობი არის შერიცხული ძველი აღაქმის მოხუცებულნი მართალთა თანა, რომელთაც სწამდით მომავალი მაცხოვარი ქვეყნისა, იობის ტანჯვა იყო წინედ დასახვა იესო ქრისტეს ჯვარზედ წამებისა. ამ ჯვარმა იხსნა მორწმუნე კაცობრიობა ძველისა და

ახალი აღთქმისა იმ საუკუნო სულიერი ტანჯვიდან, რომელშიაც შეჰყავს ეშმაკს. თვისი მანქანებითა ყოველი ურწმუნო და ბოროტი ადამიანი.

მოსხენებული მოთხოზა, სხვათა შორის, წარმოვიდგენს ორ ქეშმარიტებასა: ერთია სანუგეშო, მეორე სანუგეშარო. სანუგეშოა, რომ ღმერთი სიყვარულისა და წყალობისა განაგებს ადამიანის ცხოვრებასა. მის კეთილ განგებით, მართალი ადამიანიც თუმცა ვარდება განსაცდელში, მაგრამ სარწმუნოება სასოება ღმერთზედ და ამასთან მოთმინება აჯილდოვებენ მას მრჩობლად, ეძლევა მას ღვთისგან განსაცდელით დანაკარგზე მეტი. მეორეს მხრივ სანუგეშაროა, რომ ადამიანის ცხოვრებას ეხება ბოროტი სული — ეშმაკი, მრისხანე, შეუბრალებელი მტერი. ადამიანის საენგებლად ეშმაკი ხმარობს იარაღად არამთუ უგრძობელ სტიქიონსა, ქარსს, ცეცხლსა და სხ., არამედ გონიერ არსებას — ადამიანსაცა. ეს ფრიად საყურადღებოა მათთვის, ვინც გონებას იბნელებს, თავნებობს, სვინილის იბზავს და აწეებს. ადამიანს ავაზაკობითა, ქურდობითა, ნეტაცებლობითა და სხვა ბოროტმოქმედებითა: ივინი არიან ეშმაკის იარაღნი და თანამოზიარენი იმ საუკუნო ტანჯვისა, რომელიც განწმადებულია ღვთისგან ეშმაკისა და მის მსახურთათვის.

ი ბალუევა.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტარატურო განყოფილება: უცნაური და უსაფუძვლო მსჯელობა მნიშვნელოვან საგნებზე, დ. დ. დამბაშიძის — სათათბირო საბუკ. — წერილი რედაქციისადმი, ბლად. მ. სხირტლადის. — სტატისტიკური ცნობანი მიწათმფლობელობის შესახებ. — ახალი ამბები და შენიშვნები. — შეწირულება.

სწავლა და მინიერება ძრისტიანობრივ სარწმუნოებასად და კეთილ-წესობაზე: სიტყვა, თქმული სადმელის ეკლესიის კურთხევაზე 12 ნოემბერს, 1906 წ. ბლ. მ. სიმონ ბელიძისა. — და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ი. ბალუევის.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ღამბაშიძე, 15 მარტი, 1907 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.